# მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში: პრობლემები და დარგის მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები

მანანა შარაშენიძე

ელ-ფოსტა: manana.sharashenidze@tsu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო

სავენახე ადგილის სწორად შერჩევას მევენახეობის წარმატებისატთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვაზის ერთი და იგივე ჯიში დარგული ვაკეზე და სხვადასხვა დახრილობისა ექსპოზიციის ფერდობებზე ყურძნის მოსავლისა და ღვინის ხარისხის სრულიად განსხვავებულ სედეგებს იძლევა. როგორც ავღნიშნეთ ეს განპირობებულია სავენახე ადგილის მიკროკლიმატური თავისებურებებით. მზის სხივური ენერგიის სხვადასხვაგვარი დაცემით ვენახის ზედაპირზე. ჰაერისა და ნიადაგის ტემპერატურის, ტენიანობისა და ქარის განსხვავებული რეჟიმებით. თავის მხრივ რადიაციული, თერმული და ტენის ფაქტორების სხვადასხვაგვარი შეთანაწყობა განსაზღვრავს ნიადაგური საფარის თვისებებს, ვაზის ზრდას, განვითარებას, მსხმოიარობისა და მოსავლის ხარისხის მაჩვენებელს.